

ლალი ყარალაშვილი



# სოფლიშვილი თადი შენი

მხრივი და გებულობა



ღაღი ყანაღაშვილი

## სრულჰყავ თავი შენი

აზრები და განწყობილებანი

გუმრავნი ბებიის, ანა ბაგრატიონ-ბაბადიშვის  
ნსოვნას

თბილისი  
2014

ლალი ყარალაშვილი ბრთვებით წიგნისაა. ათეული წლების მნიშვნელოვანი მუშაობის ანუცტის რაიონის სოფელ ჭიათურის რაფიკლ ერისთავის სახელობის საშეალო სეოლაში წიგნის მასწავლებლად. ზოდეცტი წელი (ბენიაძე გასვლამდე) იყო ამავე სეოლის დორუქტორი. ჭიათურის ლალი შემოქმედებითი საწყისი შეიტანა წიგნის გაყენდებითი. მის წარმატებულ ბერაგოგოურ მუშაობასა და წიგნის საღამოების წერდა როგორც წარული, ისე საკავშირო ბრესა.

ლალი ყარალაშვილი მრავალმნივე მოღვაწე – თანამშრომლობში უკრნალ-განეთების რედაქტორთან, მონაწილეობას ღებულობაში სსკადასხევა კონკრეტულისა და კონფიდენციალუიების მუშაობაში, არის ბეჭრი შესანიშნავი ღონისძიების ინიციატივის, წერს შეკვეთ ღმერჩება და პოქებს. 2010 წელს ნაშრომსათვის „უანსაჯუ თავი შეხი“, რომლის რედაქტორია ჭიათურის ჭალბაგონი ლეილა ბაგრაგონი–ბაბადიშვილი, შემოქმედ ბერაგოგო კონკრეტულ მიღებული აქვს იაკობ გოგიაშვილის საფეხულეო მკალი და საბატიო სიგვარა.

წინამდებარე ნაშრომი ცხოვრებაზე დაკარგულებული ადამიანის ნაწილებია, რომელიც მეოთხეულს მრავალ საჭიროობრივო საკითხებზე დააფიქტებას და უკუსი მომავლისაც უწევს გრძელის.

რედაქტორი: ნანა ბაგრაგონი–გოგიაშვილი



რწმენის გარეშე ადამიანი სამეაროში უწონადოა,  
როგორც ბუმბული.



თუ სიმაღლისკენ ლტოლვა არ გიჩერობს, ობი  
მოგეპიღება.



თვით სრულეოფილებაც არასრულეოფილია აღქმის  
გარეშე.



ნუ გააღიზიანებ ხარს წითელი მანტიით, თორემ  
შეიძლება უოველთვის ვერ მოზომო ნახტომი.





გალუმშულმა ბეღურამ უთხოა ღრუბელს:  
მოქუფვრა კოუელთვის ცრემლებად გიჯდება და  
ჭკუა ვერ ისწავლეო?!



უსაგნოთა გასაგნება ოცნებამ, ღამემ და შიშმა იცის.



გაქცეულ მტერს ქვას ნუ დაადევნებ, წაქცეულ  
კაცს – სიცილს.



მოვდენა, რომელიც მეტეორივით გაიღვებს ჩვენს  
ცხოვრებაში, სამუდამოდ აღგვებეჭდება მესხიერებაში.

❖  
გით სკეტი ნათლისა, მორალური კოდექსი წინ უნდა უძლოდეს ჩვენს უველა ქმედებას.

❖  
უნდა არსებობდეს სასჯელი სულთა კვლისთვისაც,  
რაღაც ჩაკლული სულები უსაშეელო კაეშნით  
ამძიმებენ სამუაროს.

❖  
უეფარი რისხვა ქვენა გრძნობებს აღედიშობილებს.

❖  
ბალახის სუნი სიცოცხლის სურნელია, რომელშიც  
უოველთვის თანმერთულია მიწის სუნი.





ნამის წვეთმა შეჭყადრა მზეს: შენს თვალსაწიერში  
რამდენი ზღვა და ოკეანეა, და მაინცა და მაინც ჩემს  
გაქრობას მოისურვილებ ხოლმეო!



როცა სიტუაა დაიღვარმლება, გული სათნოსგან  
გაიღვარსლება.



გაეცი, მაგრამ ცოტაოდენი შენთვისაც მოიტოვე,  
უქონელი შეიძლება არავინ გაგიკითხოს.



როცა ბედნიერი სარ, ეცადე, სხვები არ გააღიზიანო  
ზედმეტი ემოციებით, განსოვდეს, ეს სახიფათოა!



თვით მშვენიერებაც ფერმქრთალდება დარიბ სამოსელში.



თავმდაბლობა მოშეიძლავი სამოსია, მაგრამ...  
ფრთხილად!



ღირსება შეინარჩუნო, ნიშნავს, ნებისმიერი  
მდგომარეობიდან გამოხვიდე ისე, ომ შენი მოქმედება  
იუს მაღალი, შეუბლალავი.



დაისის მწუხრი მარტოსული კაცის ფიქრებს  
აუდაბურებს.





სექტემბერში, ოთვა მეთორმეტე კლასელების ნაცვლად  
მერჩებს იგავებენ პირველკლასელები, ეველაზე უფრო  
ძლიერ ჰგავს სკოლის ცხოვრება განმეორებას,  
ფოთოლთცვენას და აღმოცენებას.



ეველა აღსაზრდელში გარევეული ფასეული ღირებულებებია,  
აღმზრდელის ამოცანაა გამოამზეუროს იგი.



მოძღვრავ, აკვირდები ცოდნისა და სიკეთის ტუბერების  
აღმოცენებას აღსაზრდელში, აფრთიანებ და ამ  
მოვლენებით გამოწვეული განცდა მთელი ცხოვრების  
საგზლად მიგევება.




ზოგჯერ სიტევა თვითმკვლელობის ტოლფასია.

◆  
სულის სიმაღლე მიუტევებელის მიტევებაშია.

◆  
ახალგაზრდული წაბიჯები საწევისია, რომელზედაც  
დაფუძნებულია მთელი მერმისი.

◆  
ეკელაზე დიდი შურისმიებაა, არ დაემსგავსო მტერს  
უკეთურობაში.

◆  
როცა თეთრზე ამბობენ შავიაო, დაამტკიცებენ კიდეც  
ზოგჯერ, რადგან ფერთა ცვლა სინათლის ტალღის  
გარდატეხვა - არეგვლის კანონებს ემორჩილება და  
მთავარია, როგორი ფონი აქვს გარემოს.





როცა კაცი კაცს ერქინება ვაცივით, მაშინ ბარგანაობს მიწა მთვრალი კაცივით.



მწუხარე ადამიანის ფიქრები კვამლის ბოლქვებივითაა, შეუვალი თანდათანობით წამლავს უველა ორგანოს.



საღაც სიტყვები უმლურია, იქ დუმილი კდემით მოსილია.



უველა დროის სალსს პუავს თავისი კერძი და გაი იმ ერს, როცა კერძი სიმამაცის საფარველით შემოსილი უზნეობაა.



გალდებულებას, მძიმე ხუნდებში რომ არ მოექცეს,  
სურვილიც უნდა ერწემოდეს.



როცა მან არ მოისურვა ჩემი თანადგომა, არ მწერნია, მე  
თვითონ ვერასოდეს დავუდექ გვერდით.



საბოლოო გამარჯვების მისაღწევად მოთმინება ზოგჯერ  
სიმამაცის ტოლფასია.



როცა მათხოვორის გამოწვდილ სელს შეხედავ, გაიხსენე,  
რომ ერთ დროს მისი არსებაც უკეთესისაკენ ლტოლვით  
იქო სავსე, სანამ უკელა სავალი მოეცარებოდა.





ნუ ეძებ მიწის ძველ სამარხებში წინაპართა შენსა  
საგანმეს, იგი შენშია, გენურ კოდებში ჩახვეული,  
მიეაზლე, გაუსხეულდი, გაუთავისდი.



გარდასული ბერნიერება სიჭმარსა ჰგავს, ოღონდ უფრო  
მკვეთრად აღიბეჭდება მესსიერებაში.



ეჭვი ეჭვით განქარდება.



მაღალი სული მხოლოდ ცისმიერს, ლაჟვარდისულ  
სივრცეებს უთავისდება და არ მალუმს ჩაღრმავება მრუმე  
მღვიმეთა ლაბირინთებში.



შენი თჯახის ხიბლი შენს გონიერებაშია.




ზომიერება უოველთვის საჭიროა, სიკეთის ქმნაშიც კი.



გვარშეცვლილი კაცი გვართან ერთად წარსულსაც ჰქარგავს.



როცა გამარჯვების პიკი გეწვევა და უზომო სიამაუე შეგი-ზურობს, გაიხსენე, რომ სამუაროს პატარა ნაწილაკი სარ, ბუნების მოძრაობას სჭირდებოდი და ქვეუნად იმიტომ სარ.





მაღლისაკენ ლტოლვა სულს აკეთილშობილებს.



ადამიანს დისციპლინა სამუარომ უკარნახა.



როცა ვინმეს რაიმეს სთხოვ, დარწმუნებული უნდა იყო, რომ მას შესრულების მაღა შესწევს, და იმედი უნდა გქონდეს, რომ მოისურვებს შენს დაზმარებას.



როცა გრძნობაშელაბული წარ, ათასი რამ მოგივა თავში. დახუჭე თვალები, დანებდი ფიქრებს და ამ თანდათანობით მოსულ სიმშეიდები ამ აზრთა შტორმიდან შეარჩიე ეველაზე გონივრული და ეთიკური, და მიიღებ ღირსეულ სვლას.

◆  
უმაღურობის სენი სულის სიბრძავეშია.

◆  
შირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვა რაგინდ დიდი  
იქას იგი, არ სცილდება საკუთარი სახლის კედლებს,  
სხვაზე ზრუნვის, ე.ი. სიკეთის განხომილებანის სივრცეში  
განვიწობა კი განუსაზღვრელია.

◆  
ცილისწამებამ დაღი თუ არ დაასვა შენს ცხოვრებას, კვალს  
მაინც დაამჩნევს.

◆  
გაი მას, ვისაც ღრო დაუხავსდება.





მიზნისაკენ მსრბოლავი კაცი ფაფარაშლილ ცხენსა ჭგავს,  
უკიდეგანო სივრცეებს, რომ აპოს.



განთიადი - ეს არის ნათლის დასაწეისი დიდი მწუხრის  
შემდეგ.



ფიქრებიდან უამრავი აზრები ჩნდებიან, მაგრამ ამ  
აზრებიდან  
უმთავრესის გამოყოფა ბევრს არ ძალუმს.



მას შეეძლო მიუტევებელის მიტევება,  
ამაში იუთ მისი სიძლიერეც და სისუსტეც.

- ❖ მოწესრიგებული ქაოსი – აი, სამეაროს არსებობის კრედო.
- ❖ თვითონ საურდენსაც სჭირდება საურდენი.
- ❖ ზოგჯერ ერთი სტრესული წამი გამოაფხიზებს იმ ფენომენს, ჩვენს არსებაში მთელი ცხოვრება რომ თვლემდა.
- ❖ ღუმილის ფარდასავით შეუვალი რომ იურ, ღუმილი უნდა შეგეძლოს.





სიტევა ზოგჯერ ამოფრქვეულ ვულკანად იქცევა, ჩვენს ურთიერთობაში ვველაზე ლამაზი და ღირებული რომ წალევოს.



მიტევება მაღლია, განტევება – განაჩენი.



ჩვენი ბავშვობის მკაცრი პეიზაჟი მთელი ჩევნი ცხოვრების ფონად იქცევა წოლმე.



ვველაზე დიდი სატკივარია, როცა საკუთარი თავი გეტევილება!



თუ ნათელი არ შთანთქავს უკუნს, მაშინ უკუნი შთანთქავს ნათელს.



მართლმსაჯულება უხედნავი კაცის ლაგამია!



სამგაანზომილებიან სივრცეში ის ნახევარგანზომილებიანი ცხოვრებით ცხოვრობდა.



შების წვერზე აზიდულ მტრობას მახვილზე უწინ ფარი მიაგებე.





მებადურის ცოლისა არ იქნას, მან უველაფერი მიიღო ოაც  
სურდა, ოქონს თევზისაგან და მერე მასზე ბატონობა  
მოინდომა, ოთა უველაფერი დაეკარგა.



ცხოვრება განუკითხავი მოხარკეა, ჩემო, ზოგჯერ, ისეთ  
საურავს შეგაწერს, წელში გაგწევეტს.



ის მეფე იუო თავისი ქვეშევრდომებისა და ამავე დროს,  
იუო მონა, მონა თავისი სურვილებისა.



დუმილი შეიძლება გაუიდო.



მშობლის სიუკარული შვილისადმი სივრცეშია,  
შვილისა მშობლისადმი – წახნაგში.



ამბობენ: ცხოვრება თამაშიაო, თამაშეარე მდგომარეობა  
უძრაობა უნდა იქოს, ეს უკანასკნელი კი სიცოცხლეს არ  
უნდა ენიშანწელებოდეს.



როცა ფასეული უფასურდება, უფასური ღირებული  
ხდება.



მესთატეხას, ირგვლივ მუოფთა მონუსხა ახლავს,  
აზრთატეხას – შტორმები და დავიდარაბა!





წიფელი — ფესვებზე ამაუად მდგარი — წიფელია,  
ფესვებგადაჭრილი — მორი.



ცხოვრებამ რაც უპირატესი გარგუნა, შენს დამსახურებად  
ნუ მიიჩნევ.



ღამის უკუნს უამრავი უკუნი აფარებს თავს.



შენივე იღბლის თუ სარ ცუდი მსტოგარი, რა ბედენაა  
დანატოვარი.

❖  
გადაწერა, უკვე დაითავისე სხვისი გუთვნილი,  
ნუ ერწმუნები, ბოლო სიტუაცია განგებისაა.

❖  
ბალლობისას ჩვენი ნავთსაუღელელი დედის ქალთაა,  
ჭაბუკობისას – ოცნება, ხოლო სიბერისას –  
მოგონებებზე სევდა.

❖  
სხვასთან შეცოდებებს ადგილად შეგუნდობთ იმას,  
ვისაც ჩვენ ვუკვარვართ.

❖  
ზოგჯერ ადამიანის სულიერი სილამაზის ვულკანური  
ამოფრქვევა ხდება, რაც მთლიანად ასხივოსნებს ირგვლივს.





❖  
შენს ნერგთა ამბოხს თუ სტიქიად აქცევა, შტორმი  
დაგღუპავს.

❖  
შეზღუდული გონი არ ცდილობს მიზეზსა და შეღეგს  
შორის კავშირურთიერთობების გარკვევას.

❖  
როცა დაპირებას იძლევი, დაუფიქრდი,  
ეს ვალის აღების ტოლფასია!

❖  
შეცდომა ისეთი რამაა, სწორი ბილიკი რომ უნდა  
გვიჩვენოს ცხოვრებაში.



როცა ბერი იწევს საუღელთაოდ მიღებული  
ღირებულების უარეოფას, მაშინ ერი იწევს  
უარეოფის უარეოფის კანონის თვითშემეცნებას.



ტაქტი — ეს არის ეთიკურად უგელაზე ღირებული  
ქმედება მოცემულ სიტუაციაში.



სხეულში გაზარტასების სულისშემძვრელი  
სიცარიელე ისადგურებს, როცა უარგეოფს ის,  
გისთვისაც უველაფერი გაეცი რაც გაგაჩნდა!



სისმჭრელის ნაჯახს ასხლეტილი და ქარისაგან  
ზეატაცებული ნაფოტის ზმანება ცად ამაღლებაა,  
მკაცრი რეალობა კი ნეშომზალას სამარხი.





გენური საზები, რომელიც შთამომავლობას გადაეცემა, ეს არის წინაპართან დაკარგული კავშირების ძიება.

◆  
ამ ქვეყნიდან ზოგის წასელა უხმაუროა, ზოგიერთისა — კორიდაზე წაქცეული სარივით საზარელი.

◆  
მომაკვდავის გმინვა — ეს არის დახშული ძახილი სიცოცხლისა.

◆  
როცა სიმდიდრის შოვნის აღვირას სწილი სენით  
იხრწები, გაიხსენე მიწის წესია: „დაეთესვის  
ხრწილებით და აღსდგების უხრწილებით.”



ოოდესაც ბოლმა მარტუხებივით შემოგაჭდობს სხეულზე ღვედებს, არვინ სწუსს შენზე, არც არვინ გეძებს, მოგონებებში ჩაიმუხლე, (ოდესმე ვინმეს ხომ უკვარდი, ოდესმე ვინმე ხომ გიყვარდა), მოგემვას იქნებ, გაუძლო ეგებ.




გიჯობს გვედრიდეს, ვიდრე გვედრიდეს!



ამჩარტავნება სულს აბარტახებს.



ეინულოვანი სივრცე გათბობისთანავე იწყებს ლფლობას.





როცა შეკაზმული რაშის სადავეს მოისადავებ,  
საურთიერთოს მოსრად მოდენას ნუ მოისადარებ.



შენს სიხარბეს ვერ სძლიე, ადამიანო, აბინძურებ წეალს,  
სჩესავ ტყეებს და გავიწყდება, რომ „სჭრი იმ ტოტს,  
რომელზედაც ზიხარ“.




ზოგჯერ მოგემალება ბოლმა უმღები გარცლივით, იზოვე  
შენს თავში ძალა, არ მოიქცე არაკაცივით.



არ მოჩანს ბილიკი, კვამლი და საკვამლე?  
გაკვალე!

- ◆ უპირატესი მდგომარეობის წუთებში თუ ტირანია გეუფლება, უფლებას კარგავ, გაჭირვებისას ღმერთს თავს ავერტებდე.
- ◆ როცა სათხოების სამოსელს იცლი, შეინანე, ო, რარიგ გშვენოდა იგი.
- ◆ დროსა და სივრცეში ჩაკარგულ ვაებათა ექო კაცობრიობის სევდას ბადებს.
- ◆ როცა გაბნეულ სხივზე ლაპარაკობენ, იმ კაცის საყალ გზას მაგონებს, თავის სწრაფვებს რომ ვერ მოუკარა თავი და უსასრულობაში დაეკარგა.





ერთი უმართებლო ნაბიჯი და შესაძლებელი შეიძლება  
შეუძლებლად გადაგვაქცეს.



როცა გკოდავენ, უსაშეელო ტკიფილი გი ზურობს, როცა  
სხვას ჰყოდავ, ეს არც ისე მტკიფნეულია.



მტკიფის ნაწილაკზე უსასოდაც რომ იგულვო თავი შენი,  
ნუ დაუცემი, იდუმალ ენერგიებს უხმე, ისინი მეფობენ  
ეველგან, ვის როდის მიეახლებიან, არავინ უწეის.



უკან დახევა ზოგჯერ გამარჯვების წინაპირობაა.



კველა იმედი მოიმედეა, თუ საურდენად საკუთარი  
თავის იმედს დაუიმედებ!



როცა პრობლემების გადაწევეტის გზებზე ფიქრობ, კველაზე  
უარესი მოსალოდნელობაც უნდა გაითვალისწინო.




ზოგჯერ სხვისი შეცდომის გამოსწორებას ვიწევთ და  
ბოლოსღა მივწვდებით, რომ ეს საკუთარ შეცდომად  
დაგვიჯდა.



მოთმინებას ალოტროპიული სახეცვლილება გააჩნია  
და ეს გულკანია.





სამეარო დიდი საერთო რეეულია, სადაც თვითონეული ჩვენთაგანის ცხოვრება იწერება და იძლება, რომ ახლა სხვისი დაიწეროს, და მაინც ზოგიერთი ნაწერი უძლებს ჟამთა საშლელს.



წესად აქვთ:

მტკიგან ფეხზე ფეხის დაღვმა — მდაბალთა,  
მიტევება — მაღალთა!



მოთმინება არსებობს მონური, გონივრული, ზოგჯერ კი უაზრო.



აუფერულებს საკუთარ სევდას წუხილი სხვათა,  
... ეგოისტია ბუნება კაცთა!

◆  
სშირად საკუთრი თავისათვის ჩვენივე მოქმედებით  
გამოგვაჭვს საბოლოო განაჩენი, და როცა ამ განაჩენს  
ცხოვრება გვაუწევს, გუგედრით: „რა დაგიშავეო, ღმერთო!“

◆  
თუ წვედრად გერგო მძიმე გამოცდა იობივით, გაუძლო  
უნდა!

◆  
ნუ შეეცდებით მართოთ ოქვენი შვილები, ასე თქვენ  
უბრალო შემსრულებელ ავტომატს მიიღებთ, დაეხმარეთ  
მათ, ისწავლონ საკუთარი თავის მართვა.

◆  
ამღვრეულ თვალებში ჯალათებს ფორუმი აქვთ.





მარტოდ მარტოა ტრიალ მინდოოზე მდგარი მუხა,  
მაგრამ მაინც მუხაა, მუხა!



როცა ჭირი მიჩუმათ დება, წსოვნა, ზოგი უსაზომო  
სევდათ დარჩება, ზოგი უკვალოდ ქრება, ზოგი ხანდება.



არაფერი ისე არ ალამაზებს ცხოვრებას, როგორც  
ადამიანთა შორის მაღალი დონის ურთიერთობანი,  
ჩვენივე უმართებლო მოქმედებით ზოგჯერ ლახვარს რომ  
ვასობთ ხოლმე მას, ცხოვრება კი წშირად გვაიმულებს ამ  
ურთიერთობათა განვრმობას, მაგრამ არავითარ მალებს  
არ ძალუმთ დაუბრუნონ მას პირვანდელი ხიბლი.



როცა ფიქრი უსიერია, საჭალი უკაცრიელია.



მაღლის ქმნა ორმხრივი სარგებელია, სხვას მაღლს  
უზამ, შენ მაღლიანი ხდები.



ქარო, ნუ მოუქნევ ტორს იმ ცადალერებულ რტოს,  
ბედო, უმუხთლებ ნუ, იმ ლაგამაწევეტილ ულაუს,  
ავი ელოდება თუ, დედა გაუთავე უმალ!



დიდი გნებათა-ღელვის შემდეგ სული განძარცულია  
უოველივე სურვილისაგან.



სიტყვა შენი წამახული ისარი,  
სამიზნე - ჩემი გულის მტკიფნეული არე, გააჩე და ის არის!





წუხელი, ისეთი მარტოსული იუო ცა, ქუფრ ღრუბლებში  
მიმქრალი მთვარით, როგორც ოჯახი უერთმანეთო,  
და მე ავტირდი: ერთურთს უნდა ვუერთმანეთოთ,  
გუერთმანეთოთ...



არ მინდა მჯეროდეს, რომ ეოველთვის მოგებული ის  
ოჩება, ვინც ველაფერზე წავა.



მმათა მოშურნე ვერავის ემმოს.



წუხელის დიდხანს არ დამემინა, ჩემი რეალური და  
ირეალური საურთიერთოს კლასიფიკაციის ორ მირითად  
ნიშანს მივაგენი: ბირველი – ადამიანები, რომლებმაც  
ცხოვრებას გაუძლეს და მეორე – ადამიანები, რომლებმაც  
ცხოვრებას ვერ გაუძლეს.



ლოცვად აგღავლენს თუ წევლად, ნატრფალმა იცის.



წარსულისაგან განსხვავებით აწმუო მართვადია.



სილულ და უსილავ სამუაროს შორის ზღვარი  
შირობითია.



ლალი მეოცნებე ნისლების ეტლებით  
დავესეტებოდი ლოუბელთა ზე,  
რა ბავშვი ვიუავი, რა ბევრი მინდოდა:  
ჭავრი, წეალი და ... ცოტა მზე.





თუ ალალებული ჩიტის ზე აჭრა აღარ გნიბლავს და  
შემოდგომის ფოთოლთცვენა აღარ გტკივა, შენი  
ზამთარი მოსულა.



არაფერი ისე უხვი არ არის შესაძლებლობებით, როგორც  
ახალგაზრდობა და არც არაფერი მასზე უფრო  
უეაირათო.



თქვი, ღრუბლის ფთილავ, რას მიიჩნევ შენი უოფის უაშეს არედ,  
მთვარეს, გრძნობამიწდილი რომ ნებდება შენს ფაფუკ მკლავებს,  
გარსკვლავთა კრთობას, შენი სიმრუმით რომ დააღამებ,  
თუ დიდგულა ქარებს, თავგზას რომ უბნევს შენნაირ ფთილებს,  
და აღმა-დაღმა დააქანებს?!



კაცის სედვა მის ჭიაშია, ღირსება მის ქმედებაში.



შენ ცოტნესავით წაისვი თაფლი მოუვასის გამო და  
შეამიან ნესტარს გაულოდინდი, გაულოდინდი.  
მე ავქვითინდი, ვიღაცამ თქვა:  
უსაზომოა ამ წუთების მწუხარი და სიბლი.



ნაღველნარევი შარბათია წარსულზე სევდა, უველანი  
როცა ვიუავით ერთად.



ჩვენი უიღბლობა თვით ჩვენშია.



ეს მე ვისურვე, უოფილიუო ქვეუნად განმეორება,  
მირიადი იათ მლილობა,  
რამე თუ თვით ვარ განმეორების დიდი საწუისი –  
დედა-ძვილობა.





ზოგჯერ ადამიანი მთელი ცხოვრება ეძებს თავის თავს და შოულობს ცხოვრების დაისში; ო, რაოდენ სევდიანია ეს შეხვედრა.



როცა ნეტარებ ნიავივით გესალბუნება, ცთომილებისას აგეზღუდება, მოსისხართან გიავგაროზებს, ჟამთვასაყარზე მსუბუქ წილვათა გიდად მოგეახლება, ღერის სულია, დაიგანე!



როცა გონება აირიოს, სელთქმნილი სელთუქმნელს მეტოქეობდეს.



წუვდიადი მზის ათინათსაც აწუვდიადებს.



სიძულეების მიჯნათა მიღმა სწორი განსჯის  
უნარი ერთეულთა ნიჭია.



არავინ უმეგზუროს წინაპართა ნაპარტახალზე  
ამოსულ სიცოცხლეს, მსოლოდ სსეულში  
ჩამზითულმა გენური კოდების თვითშეცნობამ  
გაუსწორსაზოვნოს სავალი.



თავე ანწირული, კლდის შვერილებს რომ ეკვეთა ქარი,  
ფრთებს რომ იმსხვრევდა, რა სურდა ამით?!



როცა მონაგარის სულიერება გაუთავისდება გვარის  
ღირსებას, საგვარეულო კვერთხი ჰეობს.





ცხოვლება როდის რომელ აკორდს შემოტკრავს შენთვის, გერ  
განსჯი, მთავარია უოველ აკორდს ღირსეული რიტმით შეხვდე.



როცა ბედნიერი სარ, ეცადე სხვები არ გააღიზიანო  
ჰედმეტი ემოციებით, გახსოვდეს ეს სასიფათოა.



როცა პირველად მიღალატეს, სიცოცხლე აღარ მინდოდა,  
მეორედ – სულიერი ტკივილი მკლავდა, მერე ისე მივეჩვიე,  
რომ არ ეღალატათ გამიკვირდებოდა.



შენ კი არა და,  
ეგ ღალატი სამეფოებს უდებდა ბოლოს, შენ კი არა და ...  
ნუ ბრავისარ ბოლოს და ბოლოს!



სიუვარული საკმეველია შენი შარაგზის მოსაკმევლებლად.



სიუვარული ეს ცის ნამია, სიოსავით ამო ამება,  
ნიავქარია,  
ხან ქარიშხალის გრიგალებად აგრიგალება!



სევდა ნისლსა ჭგავს, დარღი ღრუბელს, მოლოდინი ღელვას,  
რისხვა მუიფეა, ოცნებაში კი მაინც რაოდენი სინატიფეა!



გაუთავისდი სიუვარულს, სიკეთეს, რწმენას, ისწავლე  
მიწიერი ტკივილების ატანა, რომ შეიძლო წუთისოფლის  
გატანა!





ავს კეთილით ოოცა მიუზღავ,  
ბრიუვმა შეიძლება ბრიუვად ჩაგთვალოს,  
მაგრამ არა უშავს,  
სიკეთე სამუაროზე უნდა გათვალო!



წაართვით ადამიანს გრძნობები, სულ ერთია, ოოვორ და...  
მიიღებთ ობიტაცის!



შეურაცხეოფას უნაგირივით ნუ მოირგებ!



ბილიკი, ოაგინდ უსურვაზივით იუოს ხეეული, იგი გზაა!



მე მინახია ქარიშხალით არე რბეული,  
მე ქარიშხალიც მინახავს კლდის ქიმებზე ფრთებმიმსხვრეული!



მიზეზის პრალს უმეტესად საბაბი იმკის!



ფეთქებადი ნერვების არეალი ეთიკური მიჯნების მიღმაა!



მტკივა მთის ფერზე ჯიხვი, ჭიუხების გენ მზერით მეწილის,  
კაცის ტყვიით ქარაფებში ჩამოლეწილი!





ბავშვთა სამეჯარო გრძნობების უკელაზე სათუთ სიმებზე  
გადის.



იცხოვრე ისე, ამქაუნიური ვნებათა წიბლი რომ არ იუფლო,  
რომ სულმა, შემდგომ ფერისცვალებისა, შეაღწიოს ზესთა  
საუფლოს!



წარსული თუ შფოთავს, მნელია,  
არიან გარდასული დღეები,  
რომლებიც დღესაც მონანიებას ელიან!



ცრემლი ზოგჯერ მწუხარების ანარეკლია სრული,  
ზოგჯერ შვებაა სულის!



ჸატარა მდინარე გაიბუტა, კალაპოტი იცვალა და აღარ  
შეუერთდა ზღვას, არაფერი შეუმჩნევია...  
მალიან დიდი იუო ზღვა!



შენს წინაა სავალი ბილიკი მრავალი,  
განსაჯე, რომელი გეგების, გონებას დაუჯერო ეგების!



სიტევა უდიდესი მალის მაშინ ხდება,  
როცა არა მარტო გესმის, კიდევაც ხედავ!



აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე შორია!





აკიგლდებიან შენი ფესვები, უცხო მიწას ნუ ჩაეფესვები!



დღეები უკანმოუხედავად რბიან,  
აჩუქე ახლობელ ადამიანებს სითბო, სანამ არ იქნება გვიან!



რა საჭიროა, უოველ მთვარის ამოსვლის ქამს  
შენს სევდანარევ სიყვარულზე უუვებოდე  
შენი სევდის საგანს, თუ იგი ურუა!



ღვინო ცოტა შარბათია, ბევრი არაშია!



როცა მოსისხარი აქილევსის ქუსლივით სუსტ ადგილს  
გიზოვის, ეველაფერი თავდება...




უძლური ნაღველი არც ისე უძლურია საკუთარი სხეულის  
განადგურებაში.



ოცნების სუბლიმაციის ხარისხი უმაღლესია.



უსაშველოა, როცა სინდისის საჭურჭლე ცარიელი დევსი,  
სხვა შემთხვევაა, როცა საჭურჭლეში სინდისი თვლებს!





გამიუოლიებენ საიდან სადა, ფიქრები  
ფიქრი ნავია,  
მე მენავე ვარ... მენავე სან ნიავჭარია.



სათნოებას ზოგჯერ სასჯელსაც უსჯიან,  
ფიქრობენ, რომ უკელაფერს უხმოდ აიტანს, მუნჯია!



როცა სიკვდილსა და სირცწვილს შორის არჩევანი უწევთ,  
არჩევანმა იცის:  
გმირები სიკვდილს აირჩევენ, მღილები – სირცწვილს!



სიჩუმე ეს არაქათგამოცლილი წმაურია!



მოიშველიე შეგრძნებებით საუბარი, სანამ სიტუაციას გახედნავ,  
თანხმობა თუ უარეოფა, ბედნიერება თუ უბედობა, სიუგარული  
თუ სიმულვილი, წაიკითხე იმ თვალებში, რომელსაც ჩახედავ!



მიუცი ადამიანს რწმენა და იგი დაიზურობს თვით  
მუინვარწვერსაც!



ცუდი გზით მიღწეულ შედეგში სიმშვიდე შფოთავს!



აზარტის ბოლო წაგებაშია!





❖  
ის ჲგავს კაცს, რომელიც გატეხილი სურით ეზიდება  
წეალს!

❖  
კაცი, ო, რამდენია სიმუხთლის სენით ხოწინეული,  
სარმაგამოდებული მომმის დაცემით წაღილს წეული!

❖  
როცა განუკითხავი სიტუაცით გატეხენენ გულს,  
მსუბუქი იუმორით უბასუხე და დაივიწევ,  
ნუ დაიმმიმებ სულს.

❖  
უიმედობა იმედიგით გადამდებია.



წშირად, როცა არ გვეთვნის ჩვენივე თავი, გადავეშვებით ხოლმე ვნების ბობოქარ ზღვაში ბოლმის ჩანთხევად... ფრთხილად, ტალღათა მიმოქცევამ ფსკერისაკენ იცის ჩათრევა!



მეგობარი, ზოგი მანამდეა თანამდგომი, სანამ მიწაზე ბობლავ, როგორც კი მიწას ასცილდები, საქმით თუ ვერა, სიტუაცითა გბოლმავს!



გრძნობის გარეშე ფანტაზიას სული არა აქვს.



ბოლმის კვამლს ირგვლივ ნუ მოაბნევ!





წეურვილი როცა დანარჩენ უველა სხვა გრძნობასა კლავს,  
სელიერება თრთის, მატერიალური პირველეოფილობს  
კვლავ!



ცოდვა ერთია, ცომა მეორე, განსხვავება დიდია, მაგრამ  
საერთოც ერთობ ბევრი აქვთ:  
ერთსა და იმავე შედეგამდე მიდიან!



სიუვარული გვენმარება დასახული მიზნის მიღწევაში,  
ზოგჯერ მიღწეულის დანგრევაში.



მარადიულობის არსი მარადიულ ცვალებადობაშია!



მიწას ოდნავ ასცილდები და ზოგჯერ ისეთი ვინმე  
შემოგავებებს შერის ურვას, უელში ბურთივით რომ  
გეჩხილება და ტანძი გბურმგლავს. გინდა, ადამიანურ  
ვწებათა სფატი მოიტოვო განძი? უფრო მაღლა აფრინდი  
მაშინ!




გაუსამლისი არ ნიშნავს შეუსამლისს.



ენაა სიტუაცის საასჩარეზო, ძირიც და სარქეელიც, სიტუაციაშ  
შექმნა ფრაზა, ფრაზამ – აზრი და აზრმა – საქმენი.



სიზარმაცე მორევივით ზანტია!





როცა სიტუაა მელოდიას ედრება, მის მოქმედებას ისეთივე  
ძალა აქვს, როგორც ვეღდრებას.



რა საჭიროა დარღი გაანდო ვინმე ისეთს, რომელიც  
მხოლოდ ზრდილობისათვის გისმენს?!



სწავლისას მთავარია ეურადღება,  
გვმართებს ამ შეგონების ეურად ღება!



სწავლა დროსთან შეჯიბრზე არ აიგო,  
წაიკითხე იმ სიღინჯით, რომ გაიგო!



ჯერ დაბადება, მერე უკანასკნელ სანთელთა რიგი...  
თავი და ბოლო — უველასათვის ერთია იგი!



ადამიანი საკუთარს უნდოდ, სხვისა ჩრდილს ეფარება უფრო!



გრძნობებისაგან დაცლილი სხეული მერე ისევ სისავსეს  
ითხოვს!



ტკივილს კი არა, გაოცებასაც არ გაცლიან,  
ზოგჯერ ფრთებს ისე შემოგაცლიან!





გრძნობების გარეშე ცხოვრება ჰგავს ტბის უგვალო წეალს.



გრძალვით იდენტე, ნუ გააშიშვლებ შენს სურვილებს ფსკერის კიდემდე!



ვისაც გონების თვალი დახშული აქვს და მხოლოდ სორციელი თვალებით იხედება, ის მრუდედ სედავს!



შედარება შედარებითა!

❖  
იცოდა, რომ შავ ფონზე თეთრი ჩანს მკვეთრად, ამიტომ  
სანამ სიკეთეს ითამაშებდა, ბოროტების ფონი შექმნა!

❖  
შევიდობას ეძებ, მაგრამ ელტვი იძღავარ ბოროლებს,  
როდესაც კაცი ომს უცხადებს საკუთარ თავში ჩაბუდებულ  
უკეთურ ვნებათა ნდომებს!

❖  
ის დაილექა თავის სავე შეცოდებათა მრავალჯერობაში!

❖  
აბობოქრებული გრძნობა კალაპოტისაკენ მიმართე, რომ  
არ წაგლებოს.





ზოგჯერ ისე ჩამოიბურება ზეცა, სუნთქვის ჯერიც კი  
ქანცმიმელევა ერთობ; ო, რაც არ უნდა, რაც არ უნდა მოხდეს,  
ღიმილის უნარს ნუ დამიკარგავ, ღმერთო!



ღღეს ეველაფრის დათმობა მოგისდა, რაღან გუშინ არ  
დასთმე ის, ჩირად რომ არ ღირდა!



ზოგი ცდილობს ბავშვში ჩაკლას ოცნებათა სიმაღლე,  
ფიქრობს: მე რატომ არ მქონდაო ბავშვობაში სილალე!



თუ გინდა შენი სივრცე კარგად განკარგო, თავი არ  
დაკარგო!



თუ ორი ურთიერთსაბირისპირო აზრიდან ის ორივეს  
ეთანხმება, „ლაშქარში“ არ გამოგადგება!



ცხოვრება სიმაღლეთა და სიძღაბლეთა ნაზაფია.



ზოგს ცხოვრებას უადვილებს სხვისი დაცემა!



ნუ ატირდები, თუ კორიდაზე აგეჭა მხარი, წამოდეჭი,  
ჭრილობები მოგიშუმდება („დორ უველაფერს კურნავს“).  
აცალე, ცოტა გამოხდეს ხანი!





ზოგჯერ რაღაცაცა მალა უმართავი სადღაც მიგაქანებს  
ქარიშხალივით, საურდენს ჩაეჭიდე, ორომტრიალმა რომ არ  
აგაქანაოს ხის ნაფოტივით!



ჩაუღრმავდი შენი ნაბიჯების იღილიას,  
შენს სავალ ბილიკებზე სიკეთის შუქი წომ არ მიგელია?!



შენ ბავშვი იუავ ლაღი, წრფელი, ოდნავ თავნება,  
ნუ დაუშვებ სულძი შერის აქარავნებას!



ხარბ კაცთან ნუ ითევზავებ, ან კესზე არ წამოგაგოს!



როცა სიმშვიდეს მოგზარავენ, სევდასთან ერთად გაკვირვებაც გეძალება წოლმე, ამაოდ რად ირჯებიან ამის მოთავენი? თვითონ წომ მაინც ვერ შეირგებენ ამ ნაპარავს, სხვისი ფხოვრების ქექვით მუდამ მშფოთვარენი?!



ვინც გარემო შირობების მიმართ იმუნიტეტი ვერ იჩოგა, ის ისპობა!



იმ აზრმა, რომ უოველთვის მართალი სარ, შეიძლება ბევრი შეცდომა ჩაგადენინოს.



ღროს უდროობა სჭირეს!





თუ ზღვის ფსკერიდან ამოღებული მარგალიტის  
მდუმარებაში ტალღათა შმაგი დგაფუნი გესმის, თუ  
ბალახის ზურმუხტოვან სიმწვანეში მამულისათვის  
დაღვრილ ძოწისფერი ჭავლის დუღილსა ლანდავ, წმინდა  
გრძნობებს ვერასოდეს მიაგებ ღალატს!



აზრი აზრით იშობა.



ზოგი ისარჯება, ზოგი იფლანგება.



ერთმანეთის აღარ ესმოდათ,  
ირგვლივ დგარმლის კვამლი დიოდა,  
მმულს ადამიანების დათითოვება!



მთელი ცხოვრება რომ ემებდი, შენს წინაა იგი,  
უბრალოდ, მოიცალე ბინდი თვალებიდან და ნისლი –  
გონებიდან!



ზოგჯერ ისე აჭუვები ავ ჟინს,  
სივრცე მთლად შენად გეჩემება,  
მომავალ სინანულად რომ არ გეძცეს,  
უნდა შეიმლო შეჩერება!



ცხოვრება გულთატენილობის სამტესლოა!



ოჯახი მუარია, თუ ქალი ოჯახის ქნარია,  
კაცი კი ოჯახის ფარია!





თვალი გაადევნე უოველი დღის მირს და სახურავს,  
შენ იუენებ ნივთებს, თუ  
ნივთებმა გაგიხადეს თავის მსახურად!



ის უოველთვის იღებდა იმას, რაც შენგან სურდა,  
შენი შემძლეობა მაინც უოველთვის შურდა!



როდისღა ვიქმნე ისე ლალი ვით ნიავი მთისა,  
ფრთაგაშლილი როდისღა ვიქმნე?  
...იქნებ სხვა გაზაფხულს გავულოდინდე?!



ისწრაფე, მაგრამ ნუ ისულსწრაფებ!



ბირველობა სურდა და კორიდაზე სასურველი ხმები მოესმა,  
ვერ მიუხვდნენ,  
ეს იმიტომ სურდა, რომ  
მერე ირგვლივ უველა მოესრა!



თუ წარსული უზომოდ გტკიგა და ისევ გელიან, იცი,  
უთუოდ მიღი!



ლოთობა არსებობაა, მაგრამ არა თავის თავში!



რას უჩამს ხანი, ის მუხისაა ნამეხარის!





მე სასამართლო ბრონცეს ვესწრებოდი:  
ბრალდებული — ღერა,  
ბრალდება — ცუდად გაზრდილი შვილი (თუმც ღერა  
ღლესაც ასე არ ჰგონია),  
ბრალმდებული — საზოგადოება,  
განაჩენი — ღერის აგონია!



ბევრჯერ ადამიანის მზერაში მისი სულის ანარეკლის იქერ.



ზოგჯერ კაცი ვერ უოფნის თავის ვნებათა ღელვას.



თუ გჭირდება, დოთ მიჭრის, თუ არ გჭირდება, მიიმდორება!



ლოდინი მისი სტილია, ბერს ქვებს არ ესვრის,  
რაც არ უნდა, არ ესმის!



ეფაზე, საკეთებელი ისე აკეთო, შენმა მატერიალურმა და  
სულიერმა ღირებულებებმა ერთმანეთი არ გადაკვეთონ!



სიკრცე გარდასულ ექოთა მატეანეა.



იუავ კაბასი, აბეზარი, უნდო, ჩუმ-ჩუმი,  
ქალო, ოღონდაც წუ იქნები ქალი-ურჩხული!





ფული ბევრი იშოგა, მაგრამ სარბი იყო და დატიბი  
მეგობრის სიზმარი შერდა, სარმა დაუდო, სიზმრის  
წართმევა სურდა!



ზოგჯერ ჩვენი ზედმეტი გულმოწყალების მსხვერპლი  
გხდებით!



თავისთვის სასურველ ამბებს თხზავს წარმოსახვაში,  
არგავათნილს ჯერაც, უკვება სხვებს და თვითონვე სჯერა!



ინსტინქტები ადამიანს მოარგებდნენ ცხოველის ტომარას,  
გრძნობები რომ არა,  
სინდისი რომ არა,  
განსჯა რომ არა,  
კანონები რომ არა!

❖  
წსოგნა ჭოგჯერ ისეთ ტკიფილს ინახავს,  
გერ იტევი, რომ ჯოჯოხეთი არ გინახავს!

❖  
ბატივშოუგარეობა ვნებულია,  
როცა წარსული აწმუოზე აღმატებულია!

❖  
წოგი მანამ ანგრევს თავის ცხოვრებას, სანამ ააშენებდეს!

❖  
ის კუჭივითაა... მუდამ სხვას ინელებს, თავის თავს კი არა!





რამდენი იმედი მინახავს მკვდრეთით აღმდგარი!



ზოგჯერ ისე შევერევი ცხოვრების ქაოსს, როგორც  
წვეთი ოკეანეს, მაგრამ გამოუფაც ძალმიმს წოლმე ამ  
ქაოსიდან, რადგან წვეთისგან განსხვავებით მე იდეალი  
გამაჩნია!



ფანტაზია ყველას აქვს, უბრალოდ უნდა გააღვიძო.



ზოგჯერ უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანზე უარი თქვა უნდა,  
რომ მიიღო ის, რაც მთელი ცხოვრება გ სურდა!

❖  
ვის არ ჰქონია იმედები, ზენას წეული,  
მერე, ძირს დაცემული კინულივით მიმომსხვრეული!

❖  
სულიერი ტკივილი არ ქრება, შხოლოდ უუჩდება,  
რათა ღრო და ღრო ისევ ატკივილდეს!

❖  
სხვისი განკითხვა ადვილია, უბრალოდ, ამ ქმედებით  
თავად ნუ გახდები განსაკითხავი!

❖  
უნიჭო მწევემსის მწევემსობისას ვინ დათვალოს ზარალი  
ფარაში!





რა ფასი აქვს შენს მლიერ ხელებს, თუ წაქცეულს არ  
შეაშველებ?!



ზოგჯერ არ არის საჭირო სიტყვებით ითქვას ის, რასაც  
სიჩუმე თავადვე იტუვის.



ო, რამდენია კაცის ნიჭი,  
ზოგი ხილული უხილავს აჩენს,  
გინ უხილავში დაეძებს ხილვებს,  
გინ საერთოდ ვერაფერს ამჩნევს!



საღაც იწუება უმომრაობა, იქ იწუება სიკვდილი.

❖  
განთიადისას თოფი გაფარდა, ქვეუანას მოევლინა  
მშობლების ერთა. ღმერთო, დააბედე სიუგარული და ჭკუა  
ერთად!

❖  
ადამიანი იხვეჭს, დო ფლანგავს!

❖  
მას უევარს სხვის სულში შესვლა, მაგრამ ვერ იტანს,  
როცა სხვა შედის მასში.

❖  
ო, ეს შლევი როგორ მიღომავებს გულის იარას, რადგან  
ჰგავს იმ მესაჭეს, იახტის იალქანი ქარებს რომ მიაბარა!





უოველ ეჭვში არის იმედი, ხოლო უოველ იმედში –  
უიმედობა



ადამიანები უამრავ ფერებს იგონებენ, თავიანთი  
შირველუოფილური იმპულსები რომ შენიღბონ!



მაგიური ძალა აქვს სიტყვებს: „ეს შენ შეგიძლია!“  
მით უფრო, საკუთარი ძალებისადმი ეჭვმა თუ დაგმლია!



შეუძახე საკუთარ თავს,  
გასცდი შენი შესაძლებლობების ზღვარს!



როცა ცხოვრების ასზარეზზე გასვლის დრო მოგივა,  
შირველი რა უნდა გააკეთო, იცი?  
მოძებნე შენს შესაძლებლობებში ზიკი!



როცა მარტოობა მოღის, უფრო დიდი გეჩვენება სამუარო  
და უსაზომო – სიმწირე შენი.



ნუ დაემგზავრები მგზავრს, რომელმაც არ იცის, მიდის საღ!



დააკვირდი შენს ნაბიჯებს, ეს შენია?!





狗 龙 蛇 羊  
鼠 兔 猪 牛  
马 虎 猴 鸡



მომემალებიან ოდეს სევდიანი იქროგლიფები,  
მოსეტიალე სტრიქონების სიგრცეებში ავიკრიფები!



სანდახან მიმძიმს და ვიტუვი (თუმცა რა გამგე ვარ  
თავად ამისი), სამეარო ისე მოწეობილიერ, რომ მაღლს  
მაღლისთვის, ცოდვას ცოდვისთვის, ამქვეუნადვე უველას  
მიზღვოდა წილი თავისი!



უველა თანამედროვეობას აქვს ერთი და იგივე ბრალდება —  
სირცხვილი, — გენიოსების შიმშილით, ან ინკვიზიციით  
სიკვდილის!



მან უტიფრობა გააშიშვლა თავის თავში!



ადამიანები ქმნიან ურთიერთობებს, ურთიერთობები  
მერწავენ ადამიანს!



სიუკარული მთავარია – ურთიერთსიუკარული უმთავრესი!



აღზრდა მაშინ რთულდება, როცა ერთი მოზარდის  
მეამბოხე სული დემონიგით დაეუფლება მეორის სულს!



სილადეთა სიანკარეში, ის იგივეა თავის ავი სიტუაცი  
თარეშით, როგორც ღრუბელი ქუფრი – აღმაფრენათ  
სინეტარეში!





იმისათვის, რომ ნდომა დაიღუოს, ზოგიერთს თავისი  
აღმასვლა არ უოფნის ამისთვის სხვისი დაღმასვლაცაა  
საჭირო!



ზოგჯერ ცხოვრება გადაგიშერს მათრახს,  
დაჭრილი ქედანივით ესეთქები სივრცეს,  
ეცადე, სიმშვიდე შენი წილი ცდომების შენივე თავთან  
განდობაში ჰგავო, ... მოგეშვას იქნებ.



როცა მიზანი კუჭზე გამავალია, სხვათა საწუსარზე  
ფიქრი წარმავალია!



გაღიმება – ზოგი მთვარის ფერის სიბლია,  
ზოგი – მთვარის ნათებასავით გრილია.



ოთცა ახალგაზრდული სიგიჟმაჟე შეშლილი მიჭქრის  
შეშლილ შარაზე, ღვთისმშობელო ღეღავ, გვედრი,  
გადააფარე შენი სიმშვიდე, „სიკვდილის უველა კარი  
დარაზე!“



ზოგჯერ დაგვიანება ადრე მისვლას სჯობს!



ვერაგობის აღიარებული ილეთის წარმატება მიზარებით  
სარმის გამოდებაშია!



ახალგაზრდობა მშეფოთვარება, დროა დროში რბეული,  
ლტოლვა ლტოლვაში, სრბოლა სრბოლაში, სტიქიაა  
სტიქიონში გადარეული.





წერდა სჭირდება, რომ დაინახო, ფონი სჭირდება, რომ შეიცნო  
მისი მისია, ...ცაც ხომ ნისლივით მოჩანს, როცა ნისლია!



ზოგჯერ ცხოვრებას იწუებ შენს მიერ გამოგონილ  
სამუაროში და ბედნიერებას სჩემობ...



არ ეგების გაჟებაცს სიბრიუვე — თმენად, მტრის ჯავრი —  
თრევად, დიაცი ფლიდი — ღამეთა თევად!



წარუმატებლობის აჩრდილია სევდა, წარმატებისა შური!



დეპრესია ნერვებზე და კაშილარებზე გარეოვანებული ცხოვრების ლექია.



დღო გონივრულად გამოიყენე, სიტუაციას ვინებ მფლობელობ.



მე ვიცი თვალები, რომლის მიღმა უკუნეთია!



თავს თუ გაგივიდა, თუ მეტი მოგივიდა ფაცერის მოსმა, ზოგჯერ (მხოლოდ ზოგჯერ) ცხოვრება თავის ადგილზე მოგსვამს!





თვით მიწის წიაღიც კი ამოანთხევს ხოლმე თავის ბოლმას,  
როცა მრწის!



ცუდად მოხმარებული ბედნიერება უბედურებამდე მიდის.



ჭეშმარიტება, დღეს თუნდ გაკრული სამარცხვინო მელზე,  
ხვალ გაიძულებს მუხლი მოიგარო მის წინაშე და თავვანი  
სცე!



ზოგჯერ როგორ სწეურია მომხდარის განსჯას  
სიმართლის ცოდნა, ვიცით, მაგრამ (ვინმეს რომ არ  
გაწეუნინოთ) არაფერს ვამბობთ, დუმილით ვცოდავთ!



ის კაცი იმ ქალში შემოქმედსაც ხედავდა, რაღაც გ ზად რომ  
შეხვდებოდათ გაცრეცილი დღეები, ქალი არ დაავონებდა,  
აფერადოვნებდა.



ის განუდგა ჭეშმარიტებას და ცდუნებებში სული დალია,  
ნუ შეუდგები მის გ ზას, წარმავალია.



განადგურება სულისშემძერელია, თვითგანადგურება –  
უმეტესი!



მას ეშინოდა ქარიშხლის, აზვირთებული ტალღის,  
აზევებული ლვარმლის, ჭექა-ქუხილი სმულდა, ასეთი  
იქო, სიმშვიდე სურდა!





სული როცა ნაქარალი დღეებივით დატორილია, სხეული  
ჩემი ურუ ტკივილებით დაიტბორება.



ომი მაშინ რთულდება, როცა ორი ურთიერთსაპირისპირო  
აზრი თავისი წილი სიმართლისათვის იბრძვის.



ვდგავან ჯვარცმული, ტანშემარცული, მიმმიმს რაოდენ,  
აქ რატომ დავრჩი მოქამომდე?!



მშვენიერ სხეულში უოველთვის ასეთივე მშვენიერი სული  
არ არის!



არ ვიმჩნევთ, რადგან ზიბლი ეგზომ დიდია,  
თუმც ბედნიერებაში მაინც რაოდენი ეგოიზმია!



ის შხალოდ სხვის შეცდომებსა სედავს, აანალიზებს ღრმად,  
საკუთარი შეცდომებისთვის კი ბრძაა.



ზოგჯერ უნებლიერ შეეზიარები საიდუმლოს და მთელი  
ცხოვრება მისი ტვირთად ტარება გიწევს!



მესიტუგის ძალა აღამიანთა გულთა ზურობაშია!





გინც არასოდეს გაგიმართლა არც ხმელეთით, არც ზღვით,  
თუ მიუნდობი ისევ, ეს იგივეა, წეალს კვეთავდე ხმლით!



დიალოგს წუ დაამსგავსებ აშ, აზრის გამოთქმისას  
ურადღება მიაქციე ფორმასა და ტონს!



განსჯა გონიერი გმართებს ვერსიებზე, ოოცა საქმე აირევა,  
მიზეზს სათავიდან იძიებდე!



ჩვევაში გადასული სიუგარული მშვენიერია!



როდესაც უმართავი წდები, წელის ტალღებს მიეცი თავი,  
მათი მონოტონური რითმი გადამდებია.



ბედნიერებას შემოგაფლეთავს, ეშმამ თვალები თუ  
შემოგაფეთა.



ზოგჯერ ცხოვრება არჩევანს არ გვიტოვებს,  
უნდა მივენდოთ იმას, სადაც საიმედო არაფერია.



მთაზე გადავიდა ნისლით, ქონი გადასურა ისლით,  
იქა ცხოვრობდა ერთხანს... ახლა არაფერი ისმის!





უშერდებად გასცემ და ბოლოსლა ხვდები, მთელი შენი ცხოვრება ჰაერში საზნის ბუშტების გაშვებას ჰგავდა, უკელაფერი მიგიცია შენი შვილისთვის, მთავარი ფასეულობების გარდა!



სიბეჭე საგნების და მოვლენების ნისლში ხედვაშია!



მარტობა მაშინ ხდება გაუსაძლისი, როცა გარშემო მუოფთა სიმრავლეში მაინც მარტო ხარ!



ნუ დაამცირებ, რაც ღიღია, ნუ განადიღებ, რაც მცირეა.



ქვეუნად რომ ამდენი ლგარმლია, არ იქნებოდეს ნეტავი,  
ერთმანეთს ტევიას ნუ ესვრით, ბიჭებო...  
შინ გელოდებათ ღედა!




ქვეუნად როცა ნათელს ტოვებენ კვალს, ამბობენ, რომ  
სიკვდილი სიკვდილსა კლავს!




წევდიადი ნათელში შერევადია, ნათელი წევდიადში –  
მოფენადი!



ჰირშოთნეობის ნარკოტიკული მახე,  
გადაცდომათა ბადეში გვაზვევს!





ცნობებამ გაყინული ტკიფილიც იყის, ოცა ერთ დონს  
შთაგონება შენი, გარდასული, ფრთაშეცლილია, სხვისთვის  
ცოცხალი, შენთვის უძვე გარდაცვლილია!



ზოგიერთი შფოთიანი სამოთხეშიც ომი მოხვდეს, იქაც  
ჯოჯოხეთს დაუწევებს ძებნას!



მოწის ბოროტება, მოცახცახებს, სიკეთეთა დამაქცევარი,  
მოდის სიკეთე, მოეფინება ბოროტებათა მოსაქცევარად.



„ომი ნეტარებდა, ახლა სივრცეს შესტირის“,  
გინ გაიგოს სევდა მესტვირის!



აღმაფრენისთვის მომართე ფრთქები, თუმცა მნელია მალუმ,  
დაღმაფრენა წომ კოველ სულიერსა და უსულოს მალუმს!



ფანდი დაგიგო, გაგწირა? არ გინდა კრულვა და გლოვა,  
განგებამ აჩქარება არ იცის, მაგისი დროც მოვა!



დაუნდობელმა გარემომ შენი ცხოვრება შეიძლება აქციოს  
ნოსტალგიად, მაგრამ როცა მირს გართხმული არ შეზღდები  
გარდეგალს, ეს უკვე გმირობის ტოლფასია!



სრბოლისას ზოგჯერ შეჩერებაც უნდა შეიძლო, გულმა შენი  
სვლის მომავალი მარცხი ოდეს შეიცნოს!





გეტკინა, ქარმა დაგანარცხა ჩემო ნიბლია?.. ნუ ტირი,  
ქარებთან შებმაშიც თავის წიბლია!



თუკი მეგობარმა გაწენინა, თუ დაგერღვა შენი ცხოვრების  
იღილია, გულში სიმულვილი არ შეუშვა, გაიხსენე, რაც  
ლამაზი იყო თქვენ არ შეა...  
ასე ჸატიება უფრო იოლია!



დაიცავი დისტანცია, მეტისმეტი სიახლოვიდან ნუ  
მიაპურობ შედევრს თვალებს, თორემ გამოსახულება  
გაქრება და დადღაბნილი ლაქები წილვას დაგიმდარებს.



მოპოვებულის შენარჩუნება ზოგჯერ მოპოვებაზე უფრო  
მნელია!



მახინჯდება ფასები, კანონი, სინამდვილე, კაცთა მოდგმას  
შეესია ათასი რამ ვნება, კარგი, მაგრამ, იქვე რომ დგას  
ბავშვი და უველაფერს ხედავს?



ქალი კაცში საუკეთესო თვისებებს აღვიძებს, ზოგჯერ –  
ამდარებს!



სიუგარული ნივთიერებათა ქიმიური გარდაქმნაა  
ორგანიზმში და სიმულვილიც, სიცილიცა და ტირილიც.  
აი, კიდევ ერთი მშენიერი მაგალითი უსხეულოს  
ნივთიერები გადასვლისა და ნივთიერისა – უსხეულოში.



აზერთებულის დამდორება სიმშვიდეშია!





უჩივარს მუდამ უნათებს გზას სიკეთის ლამშარი –  
აი, რად მიუვარს ზღაპარი.



ო, ეს უმაღურობა! ვერაფერს გაუგებ ზოგ-ზოგის ნებას,  
ის კაცი რატომა ჰქვეთავს იმ ხელს, რომელიც კვებავს?!



ზოგჯერ როგორ ჭირს სწორის მიგნება,  
ღირდა კი მისთვის მსჯავრის მიგება?!



ბოროტად ნუ გამოიუენებ ღროს, სანამ ძალაუფლებას  
ფლობ!



როცა უოველი შენი ნაბიჯი ცთომილია,  
მიენდე მის რჩევას, გინც შენი კეთილის მდომელია!



მიზანი ზოგჯერ უმიზნოა!



ტეუილის მთავარი მისიაა სივერაგის მცველობა, თუმც  
ზოგჯერ მხსნელადაც გვევლინება, იშვიათად სიკეთის  
გეთების მცდელობად.



უოველთვის სევდას მგვრიდა ის ამბავი, როგორ შეუევარდა  
ალიონს მთვარე, მაგრამ არარას შეეძლო წინ აღდგომიდა  
მათი დაშორიშორების გარდუვალობას.





შარა ვეღარ უძლებს ბუღს, როცა სისხლი დუღს!



ერთი გაცისგან ამდენი სიქველეო? დაგესლეს – სიკეთეს  
თამაშობსო ბატონი ბენო. გაოცდა: სიკეთე აკეთეთ  
ოლონდაც და თქვენც ითამაშეთო, ბატონო ჩემო!



ის ისე ითხოვს, თითქოს წეალობას გასცემდეს.



როგორა გშვენის კაცობის მანტია,  
როცა შენი სიტუაა იგივეა, რაც გარანტია!



მოიხმარე ხელობა, პროფილი... რაც იცი,  
ნუ დადისარ ქვეუნად ზედმეტი კაცივით!



სიშმაგით წაგებული საქმე, ხშირად სიმშვიდით მოგებულია.



საკუთარ სამსჯავროში განსჯად შესვლა ჭკვიანთა წესია.



სევდისმომგვრელია გახსენება, რომ ოდესლაც გვერდით  
ჩაუარე შენს ბედნიერებას და გაზაფხულის სურნელით  
გაბრუებულმა ვერ შენიშნე იგი!





მუდამ მდევრა სევდა ციდან ვარსკვლავთცვენის,  
აქ მიწაზე კი ჯერის – ფოთოლთცვენის!



ზოგჯერ შენი გამარჯვება შენივე დამარცების ხარჯზე  
მოდის.



გულისამაჩუქებელი საცერია, თავისი თავიდან გაქცეული  
კაცი, როგორ უბრუნდება საკუთარ თავს.



უიმედობის გადამდებმა სენმა მანძილი არ იცის.



ზოგჯერ, დაიგმანება შენი უველა ბილიკი,  
სხეული მმიმე, ხდება ქვასავით,  
ნუ დანებდები...  
უოფნას ამაოს ნუ გახდი არეოფნასავით!



დაბრკოლება ძლიერ კაცს აძლიერებს, სუსტს ამდარებს.



ზოგის მზერაში მოჩვენებითი სიმშვიდის მიღმა, შიში  
ცანცანებს.



ქუჩის კუთხეში იჯდა, თვალებში ედგა უზომო სევდა,  
მოწეალებისთვის ჰქონდა გაწვდილი ხელი... „იმ კაცის“  
დედას.





ამოდენა სივრცეში ზოგჯერ მაინც პოულობენ  
ერთმანეთისთვის დაბადებული ადამიანები ერთმანეთს.



მევინ გიუავი, სამეაროს ტვირთირომ მეტვირთა, უბრალოდ,  
გრძნობათ სიმძიმე სხეულიდან უნდა გადმომეტვირთა.



როცა დანაშაული ხდება და დუმხარ, ეს დანაშაულში  
მეწილეობის ტოლფასია.



ზოგჯერ ჩვენი ზეღმეტი მიმნდობელობის მსხვერპლი  
გხდებით!



ზოგჯერ შენი ტკივილით სხვას დაამძიმებ (უგვები შენს ამბავს და ისიც გისმენს კეთილი ნებით), ზომა იცოდე, ნუ ისარგებლებ სხვისი მოთმინებით.



გინც კამათისას თავდაუჭერელ სიბრაზეს იჩენს, ის თავის უძლურებას აჩენს.



ისიც მნელია, ბოლომდე შეინარჩუნო ის, რაც შენია!



მისი თვალთახედვა თავისი სამოსახლოს სიგრძე-სიგანით განისაზღვრებოდა.





უმშენიერეს ფეირუგერებს გითვლიან,  
როცა ზემოდან მწვანე შუქი გინთია!



ხელს შეაშველებ და აიწევს მაღლა, მერე უკვე შენს ვნებას  
ცდილობს, „ქველობა“ მისი იწება ახლა!



შენივე რომელიღაც ცთომილმა ნაბიჯმა რომ არ შეგაჩვენოს,  
გიღაცამ უნდა შეგაჩეროს!



ვინ სივრცეს ამძივებს, ვინ მიწას ამძიმებს.



თუ ცურვისას მკლაურით დაიღალე, დოო „ზურგზე  
წოლის“ ილეთით მოიგე, სანამ ენერგიას მოიკრებ!



ბევრჯერ გამეორებული ერთი და იგივე ჭეშმარიტებად  
ვერ იქცევა, მაგრამ იქცევა ჭორად!



იმედწართმეული კაცი დეპრესიის კერძია.



დაფერდებულზე სრბოლამ დამღალა,  
„ვისი აღმაა, ჩემი დაღმასვლა?“





ამბობენ, კაცის გარდაცვალება, ფერისცვალებაა, გადასვლა  
სხვაში: შვილში, შვილიშვილში, შვილთაშვილში, შეგირდებ-  
ში, სხვაში... სხვაში და თუ არავისში განმეორდები, ასეთი  
კაცის გარდაცვალებას, უბრალოდ სიკვდილს არქმევენ  
მაშინ!



გაჩუმდი სანამ გაგაჩუმებენ.



მეტისმეტ თანადგომას ნუ ითხოვ სხვისგან!



როცა გონება დაბინდულია, სავალი აბურდულია!



ზოგჯერ კაცს უკანასკნელ გზაზე როცა აცილებენ, ცა  
ღრუბლებს ჯავრივით მოიურის, ატედება ქარი, ელგა-ჰექა,  
წამოვა წვიმის წვეთები ჩქარი (თითქოს ბუნებაც ტირისო),  
ეს წუთიერად, მერე ისევ მოდგება დარი. განა ეს უველაფერი  
შემთხვევითი არის?!.



ზოგჯერ უმნიშვნელოშიც მჟღავნდება მნიშვნელოვანი.



წრთობა წინააღმდეგობათა ძლევაშია!



ზოგჯერ სიუვარული გიღაცის ურუევ ნებას შეემსხვრევა  
ხოლმე!





თვალწინმრაცია ჩანჩქერი, მთიდან შმაგად ფრქვული,  
გავაკებული კი მდორებ და ძალაგამოლეული!



გული შემოსაზღვრულია, მაგრამ უსაზღვროა გრძნობათა  
განვიწობადობა მისი.



ბევრის მომრევი, შენს თავს ვეღარ მორევისარ, შეგ პარვია  
სიზარმაცე ზანტი მორევისა, რომ დაიტბორო, დააბრალებ  
გისა?!



მომრაობას ის ენერგია უნდა დავუდოთ ფუძედ, რომელსაც  
ჰქვია საკუთარი თავის სრულუოფისაკენ სწრაფება.

❖  
თვალებში – ელგა, თვალებში – სევდა, თვალებში  
– შფოთვა, თვალებში – ბორგვა, თვალებში – ომი,  
თვალებში – შტორმი, თვალებში – გრძემლი, თვალებში  
ცრემლი, თვალებში – სიუვარული, თვალებში –  
სინანული, თვალები – სხივჩამდგარი, თვალები –  
სხივჩამქრალი...  
ტეგადია თვალები, ვითარცა სამუარო!

❖  
თუ შენ არ იქმ იმას, რასაც სხვისგან ითხოვ, ვერაფერი  
მორალურია!

❖  
ოცნება უცხო საუფლოს გიდია.

❖  
იმ კაცში მხეცი თვლემს!





არად მიღირდეს არცა საუნჯე, არცა შატივი და არცა ქნარი,  
ვერ მეხლებოდეს შუბლზე თუკი, ჩემი მამულის წვიმა და  
ქარი.



მმიმეა სევდა, რომელიც ერის საწუხარიდან იღებს სათავეს,  
...ვის ხელთაა ჩვენი გადარჩენის სადავე?!



წარსულის ძველ დიდებაზე მოდუდუნე მტკვარი  
შეერთფერებია ნისლებს,  
შავთელის „ხოტბათა შესხმას“ ატანილი თბილისი  
ამო მოგონებებს ისევს,  
ღმერთო, გამთლიანებული დაგვაბედე, გვედრი,  
ჩვენი ცა და მიწა ისევ!



ზოგჯერ ერთსა და იმავე ნივთში ერთსა და იმავე სახებას ვხედავთ, მასში ჩაქსოვილი ერთი და იგივე ამბავთა წევბით, უღველი შეხედვისას მეხსიერებას ფერგადასული კადრებით რომ ჩაუვლიან.

... და ასრულებს ეს სუვენირი იმ მისიას, დიდი ხნის წინათ რომ ჩაუტქვიათ!



ზოგი მოგონებებით ცოცლობს, ზოგი მოგონებებში.



დრო კვდება კაცის უმოქმედობით.



საძირკველი ისე დააღუდაბე, შვილო, რომ იუს საშვილიშვილო!





ზოგიერთი ვერ მიდის წინ, სავალს თავადვე თრგუნავს,  
ამას იმითი წსნის, ომ დედამიწა ბრუნავს!



ზოგჯერ ვიღაცას ისე შეენიჭთები,  
როგორც შენვე შენი ნიჭთები.



ფიქრებიდან იბადება აზრი, აზრიდან – საქმე, ჩვეულებრივ  
ეს ასე ხდება, ზოგისათვის ფიქრი ფიქრადვე რჩება!



კრიტიკულ სიტუაციაში გონებას ზოგი იკრებს, ზოგი  
ემოციებს ატანს.



ზოგჯერ სწეული განივთებულია, თითქოს სული შემოსცლია  
გარსს, ის წუთია, როცა ეოფნა არეოფნას ჰგავს!



გესაუბრება და თვალებში გიურებს იგი, აშკარად ცრუობს,  
სულ სხვას ამბობენ თვალები მისი.



ზოგჯერ სულ სხვა რაიმეს აუბამ მხარს და გამოდის სულ  
სხვა.



ქალის წლებისაგან გაფერმკრთალებულ სილამაზეს  
გაუვითლებული სიმინდის ეანის ელფერი დაჭკრავს!





ნაალაფარით აგივსია თავლები,  
ცხოვრებას უურებ თრბის თვალებით!



მიაცილებენ სამუდამო სამეოფელისკენ, გულზე დაუერიათ  
ტიტები, დამთავრებულა მისი ცხოვრების სტალაგმიტები  
და სტალაქტიტები!



ცრემლი აჩვენებს მწუზარებას, მაგრამ არ აჩვენებს  
გამოსავალს!



სხვას ვის რა ვუთხრა, რაღას ვედაო,  
არ დამელია თავთან სადაო!



ეშმაკი მაშინ დაითრევს ორ სათარს, როცა მოუვასისა და  
შენივე თავის სამტროდ მოგმართავს!



ზოგიერთი ადამიანის სულიერი სამუარო მშვენიერებითაა  
სავსე, თუ ერთხელ მაინც მოხვდი იქ, ვერასოდეს დაივიწევს.



მას არ აღელვებდა ფოთოლთცვენა, არც ცრემლები ქალის,  
მისი ცხოვრება ისეთივე უმართავი იყო, როგორც  
მიმქცევა ქარის!



ჭარბ შექს მოერიდე, დაგაბრძავებს, სანამ ფრთებს სულ  
შემოგაცლის, ალმურის წრეში გაფარფატებს, გაფარგანებს!





წვიმა ცის მაღლია, ნაუოფი მიწის მაღლი, თანადგომა  
კაცის მაღლია!



ნამუსი უნამუსობასთან შეხვერრისას წითლდება.



მოლექულათა შეცვლილ წეობას შეუძლია  
ჩვეულებრივი წეალი უკვდავების წეაროდ აქციოს.



ის მთელში მხოლოდ ნაწილსა ხედავს თავის საწადელს,  
მე ნაწილში მთელს დავეძებ, მისთვის საწადელს!

◆  
ზოგჯერ ბედს მაშინ უმართლია,  
როცა ექვლაფერი უკვე სულერთია!

◆  
ზოგჯერ მონატრება წარსულში გაბრუნებს, საღაც  
გარდასული სახებანი შემოიცლიან მდუმარების ჩადრებს,  
მაგრამ მთავარია, იქ არ ჩარჩე!

◆  
აკვიატება მიზანში არ გარიო!

◆  
როცა ღირებულ ნიგოს რაიმეს ჰყარგავ, საურეს,  
ელსაბამს და სხვა ამგვარს, ნუ მიეცემი ღრმა ნაღველს,  
გაიხსენე, რომ დადგება დორ, როცა უღველი ჩვენგანი  
ეგელაფერს ამქვეუნიურს ისედაც კარგავს.





არის სოლმე ცხოვრებაში წუთები მძიმე, ჯანუივით მრუმე, შემოჭრილი სინათლის სივი ამ სიმრუმეში, შესამჩნევია მით უფრო თურმე!



ეცადე, ისე იქცეოდე, საკუთარი ქმედებით გამოწვეული შედეგი თავს არ გმეცეოდეს.



ის ორნი მთელი ცხოვრება სახლობანას თამაშობდნენ.



მონაგონია ფიზიკური სრა, ზოგჯერ ერთი კაცი მეორეს სულიერად ისე სრავს!

◆  
— მალიან მდიდარია?

— რა გაგებით, გააჩნია, ცასავით მაღალი სულის მეტი,  
არაფერი გააჩნია!

◆  
დაბერდა, მაგრამ ბოლომდე ზიდა საზიდი მისი,

ზოგჯერ სხვისა იმედად მდგარს,

საკუთარი უიმედობა გსრავს!

◆  
მივდივარ, შენ რაღას ხარხარებ, ნიავო,





ქალთა<sup>1</sup>, უუ, ქალთა, ხეობა ოატომ არ იღებს ხმათა,  
რადა აქვთ გლოვა წვერთეთრა მთათა?  
— სხვამ ვით გაიგო ნაღველი სხვათა, ქარმა ხეს ტოტი  
მოსტეხა იქნებ, — წესია ქართა!



უურებ და გაოცება გეუფლება სრული,  
როგორ ეტევა ამ შეღევრში ეს ბობოქარი სული!



ექსტაზი ნახევარშეშლილობის წუთიერი გამოვლენის  
ფორმაა.



ზოგჯერ ეძებ, ეძებ და იზოვი ლამის,  
და ბოლოს ხვდები, რომ ეს ის არ არის!

---

<sup>1</sup> სახელია ქალის.

◆  
სულის ტკიფილი?

ეს სულის კიფილია, მატერიალურის ფლეთვაა, მიწის სუნია,  
შავი ღრუბლების გემოა, იმედის ფორთხვაა უიმედობაშ!

◆  
თუ მასშინძლობას დაგიღეს კიდე, სხვისას რომ განსჯი,  
შენსასაც სჯიღე.

◆  
ადამიანის ცხოვრებაში არის წუთები,  
როცა შეუცნობელის კენ მიგაქანებს ლტოლვა უცები!

◆  
სულ რომ გეფერებიან, ფრთხილად იუავ, ჩემო ჭიამაია,  
ხომ გაგიგონია, მეტისმეტი სიუვარულით კატას თაგვი  
შემოსჭმევია!





სინდისიმაშინ აკეთებს საკეთებელს, როცა საკუთარი თავის მხოლოდ ბრალმდებელი კი არა — მსჯავრმდებელიცაა.



ისე იზუსტე, მოსპონა არა სუსტი, არამედ სისუსტე.



აკეთე საქმე, რომელიც ადამიანებს მოუტანს შვებას და თვით ნეტარება მოვა შენთან!



მოვა დორო და შენს სასოფლო მარადისობა წევდიადად წვება, კითხვა კი ისევ კითხვადა რჩება: შენ ტოვებ დორს, თუ დორო მიდის შენგან?!



როცა ადამიანის გონების შეუნელებელმა სწრაფვამ სამეაროს შეცნობისა, უმცირესი ატომის უზარმაზარ ენერგიას მიაგნო, ამბობენ: ბევრის გულმა გაიხარაო; მე კი ის სალხური ანდაზა მახსენდება: „თაგვისა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო!“



გისაც სხვისი სიხარული უხარია, ბევრი უხარია!



ჟამი ზოგისთვის ჟამიერობს, ზოგისთვის მრავალეამიერობს!



ნაბიჯი გამოუსწორებადად რომ არ იქციო, რომ ღირდეს გადადგმად, თვალი გააღევნე მოსალოდნელ შეღებებს, სანამ გადადგამ!





„წელის წვეთი-ცვარი, მერე ნისლი, ღრუბელი, წვიმა, თოვლის ფიფქი, ეინული და ისევ წვეთი“. მარადისია სიცოცხლე მისი, ბუნების წრებრუნვის კანონის მალით, ადამიანო, წელის წვეთივით ჩვენი არსებობაც მარადისია, მარადისი!



თუ მეგობარშა ასე უბრალოდ გაგწირა, ე. ი. მეგობრად არც ღირდა!



მალადობას ნუ მოინდომებ სხვაზე, იბატონე საკუთარ თავზე!



ღრო ღამდარებულა, – მოვლენები ცხადეოფენ: უღირსები ღირსეულებს შეურაცხეოფენ!



ზოგჯერ მოკლეა, რაღაც ფრაგმენტი შენი ცხოვრებისა, ფრთაგაუშლელია, მაგრამ წარუშლელია!



ეგერაფერს თავისი ფერი აქვს: სევდა ნისლისფერია, მწუხარება – თალხი, გლოვა შავია, სიკვდილი ბინდისფერია!



სიტუათა მიღმა ზოგჯერ რაღაცაა ფლიდი, სიტუათაშორისი გამხედაობა გვმართებს დიდი!



ერთი გექტორით მიმართული ძალთა ერთობა მთას სმრავს!





სიკეთეს უანგაროს მთის წეაროს სიანკარე ახლავს,  
ანგარებით ქმნილს, რიეის მღვრიე წელის ელფერი  
დაჭკრავს!



როცა ურთიერთობებში ეინული დნება, უნდობლობა  
კვამლივით ქრება.



ო, ეს ოცნება ეთერივით უსხეულო, ნიავივით მსუბუქი,  
გარინდებასავით იდუმალი, ნამივით აქროლადია!



მუუდრო გალიაში ძილს რამე სჯობს განა? უკვე შუაღამის  
ორი საათია, უკუნეთი წევდიადია თანაც, თქვენ კიდევ არ  
გძინავთ, ქალბატონო ანა?



ცოდვა-მაღლი გაზომილი ანგსტერმ-ედრებით,  
ანგელოზებს განსასჯელად მიაქვთ ცისკენ უსწეულო  
შერგამენტებით!



უხილავი სითბო მზერათა მიღმა, ზოგი – ახლოსი, ზოგი  
– შორისი, ეს ხიდია გულებშორისი.



ფრაგმენტი ზოგი მექსიერებას დუღაბივით ეკირება,  
მე მინახავს ბედისა და სიბრძნის შერკინება!



იძირები? გოდება ჭმარა! ჩაჭრიდე რაც წეალზე  
ტიგტივებს, ოღონდ ჰაერის ბუმტუკებს არა!





დაწესებული იავნანათი, განვრცობილი ფერტულით, შემდეგ  
ურმულით, შეიგა და შეიგ ლაშქრულით და დამთავრებული  
სულთათანათი — აი, ადამიანის ცხოვრების მოკლე  
სიმფონია.



შეიძელ და წაქცეულს გაუწოდე ხელი, შეიძელ და სიკეთედ  
გაიბენი იმ წამს... სანამ არ შერევისარ ღორისა და მიწას!



სახრეს აადევნებ სარებს მთვლემარე მეურმესავით,  
მიიზანტება შენი ურემი, გაჭირვება თავს წამოგდგომია  
მეურვესავით.



ეს წუთისოფელი თუმც მაორომტრიალებს,  
ცხოვრების თქეშსა და ზეირთ-ზეინებს მისევს...  
გავუძლებ ტიალებს,  
ღამით მაინც გვირილები მესიზმრება ისევ!



არ გეთანსმებით არა და არა! ვიცი არ გამოდგება წარსული  
ფარად,  
მაგრამ, მასაც ხომ ჰქონდა თავისი ხანა, სიკეთით,  
ლტოლებით, ლურჯი იებით... წარმავალია ეოველი განა?  
— რა საჭიროა ამოღენი ემოციები, ქალბატონო ანა?!



რა დრო გასულა...  
არე გაიგსო ჟღალი ფერებით,  
მე თმადათოვილსა და ხანმოთეულს  
რაღად მომეფერებით?!



სევდას მიძალებს ცაზე ვარსკვლავის კრთომა ეული,  
მერე ელვისებრ ქვესკნელს ქცეული!





ინტერესი წარმოშობს მიზანს, მიზანი – მისწრაფებას, მისწრაფება – სრბოლას, სრბოლა – ნეტარებას!



გინდათ გადაარჩინოთ ქვეწად უველაზე მთავარი – სიცოცხლე, გაუფრთხილდით ჰაერს, წეალს და ერთმანეთის გრძნობებს... ეს იცოდეთ!



განცხომას ბედნიერება სხვა განზომილებაში გადაჭუავს.



ქარის სიამ-სილალე მის ქროლვაშია!



როცა არავის ედარდები, სევდამ სეხეზე ღარები რომ  
დაგაჩნია,

როცა არავინ დაგიძახებს, როცა არაფერი გაგაჩნია,  
რომელი გზით დახვალ?

— ქარი საით დაუბერავს, გააჩნია!



წვეთიც რომ იუო, მაინც ეპუთვნი სამუაროს მთლიანობას!



დარწმუნებული ხარ, რომ არავის სჭირდები? მიმოიხედე  
ირგვლივ, რამდენია შენზე მიუსაფარი, მიესაფარე,  
ახლა უკვე იცი, როგორ მისცე შენს სიცოცხლეს აზრი!



ადამიანი ადამიანის საუკდარია!





ეველას თავისი სავალი აქვს, დაე, ეველამ თავისი გზით  
იაროს, შენც შენი გზა გაქვს, იარე თავმოდრეკით,  
ოღონდ ისე, რომ ვინმემ ზედ არ გადაგიაროს!



„გიხარღენ გასცემ რასაც“, სიხარული მიანიჭე სხვასაც!



შენ მოვალე ხარ იმ წარსულის, ჩვენში რომ დუღდა, ვალს  
გადახდა უნდა!



დაეცი? აღექი, ნუ გინდა მოთქმა და ურკა, რომ არ  
გაიცთომილო ცხოვრების რეალობა, ხანდახან კიდევაც  
წააგო უნდა!



შთაგონება, ეს ბორგვაა ბორგვაში, ნივთიერის განფენილობაა წარმოსახვათა ჯერში, ნათლის ღვარია ნიავქარში, ჰანგთა მიმოქცევაა ქარიშხალში, ათინათია ფერთა ტევრში, ადმაფრენაა, სულის გადევნებაა ჭეშმარიტის ელვა-გაელვებასთან ზმანებათა შტორმში.



შეუცნობი ელემენტი მართავს შემოქმედის შემოქმედებას!



შშვენიერებას ეტრფოდე, სათნოებას ელტვოდე!



სრულქმნილებას მიჯნა არა აქვს!





ღრმად შეისუნთქე ჟოველი ღლის ხიბლი, რამეთუ არ  
არსებობს ორი ერთნაირი ღლე, ვითარცა არ იქნების ორი  
ერთნაირი ფიფქი!



ღაე, გაფლანგე ჟველაფერი: ღრო, ქონება, ფული, მაგრამ  
დაინდე სული!



წუთისოფელს ორი გზა აქვს: სწორი და მრუდე, შეუღები  
ნათელს, გაემიჯნე მრუმეს!



სრულჭავ თავი შენი, გაიცნობიერო მინდა: ადამიანო,  
ჟოველ ქმედებას შენსას, საურავი სდევს ციდან!

◆  
თუმც წამია სიცოცხლე კაცთა, მაგრამ თუ იცხოვო ღირსად, შეუცნობელი მარადისისკენ ლტოლვის ეს ერთი წამი ამოდენ ვნებათა რიგად, ამოდენ განცდად, ამოდენ ღელვად, ამდენ ვაებად და ხან შვებად ღირდა?  
— ო, ღირდა, ღირდა!

◆  
ნუ შეგ აწუხებს სხივსი სიმაღლე,  
საღამდისაც შესწვდები სიგრცეს, ილაღე!

◆  
ფული არ მაქვსო, არაფერი გამაჩნიაო, სახე მოგინისლია, აბა, ირგვლივს კარგად მოავლე თვალი, რამდენია განმი, რომ არ ფასობს ლარით: ჰაერი, წეალი, გარსკვლავთ შარა, მზის მაღლი, მთვარის ალმასები, ნიაჭქარი... სიგრცე რძისფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი, ხოხბისუელისფერი... ფერები სულ ცათა ფერია,  
ეს უგელაფერი ხომ შენიცაა,  
ეს უგელაფერი განა არაფერია?!



კომპიუტერული  
დიზაინი ლია მოსეშვილი

სტამბა შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“, თბილისი,  
რობაქიძის ქ. №7ა



ქართველის სამართლებრივი მომზადების ცენტრული,  
თემატიკური და სახელობრივი სამსახურის, უფლება ამ  
აქტის გადატენის შესასწავლაში მარტივი და ეფექტური მიზანის  
თვიშის მიზანის სამსახურის მიერ განვითარებული და განვითარებული

A handwritten signature in Georgian script, located at the bottom right of the document. The signature is fluid and stylized, consisting of several loops and strokes.